community

The New Apostolic Church around the world

01/2025/GE

რედაქციისგან დროა, ვაკეთოთ სიკეთე!

ღვთისმსახურება
გავკვალოთ გზა -
ყველასთვის

საეკლესიო მოძღვრება
ეკლესიის ერთიანობა და
მრავალფეროვნება

დროა, ვაკეთოთ სიკეთე!

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 დროა, ვაკეთოთ სიკეთე

ღვთისმსახურება

4 გავკვალოთ გზა - ყველასთვის

საბავშვო კუთხე

10 დაკარგული ცხვრის შესახებ

12 სტუმრად ნაელთან დაკარში (სენეგალი)

დოქტრინა

14 ეკლესიის ერთიანობა და მრავალფეროვნება

Global News

18 კანადაში ახალგაზრდები შუქურას ანთებენ

■ თავფურცელის ფოტო: კანადის ახსე
■ უკანა გვერდის ფოტო: კანადის ახსე

დროა, ვაკეთოთ სიკეთე!

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო და-ძმანო,

2025 წლის ჩვენი დევიზია: „დროა, ვაკეთოთ სიკეთე!“ კარგია ის, რაც ღმერთს ესათნოება, რაც მის ნებას შეესატყვისება. ხოლო იმას, თუ როგორ ვაკეთოთ სიკეთე, იესო ქრისტე გვასწავლის.

ღმერთს ყველა ადამიანის ხსნა სურს, რაც თავად ჩვენით იწყება. ე. ი: გაუკეთე საკუთარ თავს სიკეთე - იმუშავე შენს ხსნაზე.

რაც უფრო მალე მიხვდები, თუ რამდენი სიკეთე გაგიკეთა ღმერთმა, მით უფრო მეტად გაიზრდება შენში სიკეთის კეთების სურვილი.

განსაკუთრებით თემში: იესოს სურს, რომ მისიანებმა პატივი სცენ ერთმანეთს, იზრუნონ ერთმანეთზე და დაეხმარონ ერთმანეთს.

მას სურს, რომ ძლიერ ერთიანობად ჩამოვყალიბდეთ.

ასე ვაჩვენებთ იესო ქრისტეს, რომ მისი სახარება მოქმედებს - ყოველ ჟამს, ყოველ სიტუაციაში. მერე კი სხვებიც დაინახავენ და იგრძნობენ, რომ „აქ სიკეთე კეთდება!“

მოდით, ყველას, ყოველ ჟამს, ზუსტად ისეთი სიკეთე გავუკეთოთ, როგორც ჩვენ გვინდა რომ გაგვიკეთონ. მოდით, ნებისმიერი შესაძლებლობა გამოვიყენოთ ამისათვის; დიახ, აქტიურად ვეძიოთ ეს შესაძლებლობები. სულიწმიდა დაგვანახებს, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია.

მაშ, ვაკეთოთ სიკეთე - ახლა!

ჟან-ლუკ შნაიდერი

გავკვალოთ გზა - ყველასთვის

2024 წლის 30 ივნისს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ღვთისმსახურება მზუზუში (მალავი) ჩაატარა

ფოტო: მალავის ახსე

ეს. 62, 10

„შედით, შედით, კარიბჭეებში, გაუმზადეთ სავალი ხალხს! მოასწორეთ, მოასწორეთ გზა, გაწმიდეთ ქვისაგან! დროშა აღუმართეთ ხალხებს.“

ძვირფასო ძმებო და დებო, დღევანდელი შეკრებით გამოწვეული სიხარული დიდია. ამის მიზეზი მარტივია. ვფიქრობ, რომ ყველა ვგრძნობთ იმის მოთხოვნილებას, რომ თაყვანი ვცეთ ღმერთს და მადლობა გადავუხადოთ მას მადლისა და წყალობისათვის. ჩვენ კი, მოდით, ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოვემზადოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტად დავემსგავსოთ იესო ქრისტეს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ იგივე სიყვარული და იგივე მოთხოვნილება გვქონდეს, რაც იესო ქრისტეს ჰქონდა, და იგივე საქმეები ვაკეთოთ, რასაც იგი აკეთებდა. იესო ქრისტეს ყველა ადამიანის გადარჩენა სურს. და რაც უფრო მეტად შევეზრდებით ქრისტეს არსს, მით უფრო მეტად გაიზრდება ჩვენში იმის სურვილი და მოთხოვნილება, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მოყვასის გადარჩენაში: როგორც ცოცხლების, ასევე მკვდრების.

მომავალ კვირას ჩატარდება ღვთისმსახურება განსვენებულთათვის და ამიტომ დღეს საიქიოში მყოფ სულებზე მოვახდენთ კონცენტრაციას; სწორედ ამ მიზნით ავიღეთ ციტატა ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან.

თქვენ იცით იმჟამინდელი ხალხის ისტორია. ქვეყანას მტრები დაესხნენ თავს, მეფე დამარცხდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი გადაასახლეს. ქალაქი იერუსალიმი განადგურდა, რამაც ხალხი ძალიან დაამწუხრა. რამოდენიმე ათეული წელი დასჭირდა იმას, რომ ღმერთს მოწყალება გამოეჩინა და სიტუაცია შეეცვალა. იერუსალიმში დარჩენილებს იერუსალიმის აღდგენის უფლება მიეცათ, გადასახლებაში მყოფებს კი - იერუსალიმში დაბრუნების. მოცემულ ბიბლიურ ციტატაში ღმერთი იერუსალიმში დარჩენილებს მიმართავს და მოუწოდებს, რომ გადასახლებულებს უკან დასაბრუნებელი გზა მოუმზადონ. მათ ნიშანი უნდა აღემართათ, რამეთუ სწორ გზაზე დაეყენებინათ ისინი და ეჩვენებინათ, რომ სწორედ ეს ადგილი იყო ის, სადაც უნდა დაბრუნებულიყვნენ. გზა ქვებისგან უნდა გაეწმინდათ, რომ უკან დაბრუნება გაეადვილებინათ მათთვის. ეს არის ჩვენი ბიბლიური ციტატის კონტექსტი.

შეხედე შენს მოყვასს და შენი წვლილი შეიტანე მის ხსნაში.

ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, ახალსამოციქულო ღვთის შვილებისთვის, ქალაქი იერუსალიმი, სიონი, ქრისტეს ეკლესიას განასახიერებს. იერუსალიმი არის ადგილი, სადაც ღმერთი მკვიდრობს თავის ხალხთან, სადაც ვხვდებით მას და მასთან თანაზიარება შეგვიძლია. გადასახლებაში მყოფია ყველა ის, ვინც ჯერ კიდევ ბოროტის გავლენის ქვეშ იმყოფება. ღმერთს მათი გადარჩენა და თავის ქალაქში, ქრისტეს ეკლესიაში, მიყვანა უნდა - ცოცხლებისაც და მკვდრებისაც.

და ღმერთი გვეუბნება ჩვენ, ამ ქალაქის მკვიდრთ, რომ გავიდეთ, აღვმართოთ ნიშანი და ქვები მოვაშოროთ, რათა გზა ჰპოვონ მათ და იერუსალიმში მისვლა შეძლონ. სურათი, რომელსაც ესაია იყენებს, კერძოდ, „კარიბჭეში შესვლა“, იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესია უნდა დავტოვოთ. აქ მე იესოს იგავი მინდა შეგახსენოთ უძღები შვილის შესახებ, სადაც იგი ცოდვილის მიმართ ღმერთის პოზიციას აღწერს. ახალგაზრდა კაცმა მამისეული სახლი დატოვა, მაგრამ როცა უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მამამისი, ამ შემთხვევაში ღმერთი, სახლში კი არ დარჩა და იქ კი არ დაელოდა მას, არამედ მის შესაგებებლად გაიქცა და გულში ჩაიკრა.

ამ ისტორიით იესოს ცოდვილის მიმართ ღვთიური სიყვარულის ჩვენება სურდა. და ღმერთი გვეუბნება, რომ ჩვენც უნდა გავიდეთ. რაც იმას ნიშნავს, რომ მარტო ჩვენი გამოსყიდვით არ უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი, არამედ მოყვასის გამოსყიდვაც გულით უნდა გვინდოდეს. არ შეიძლება, ეგოისტები ვიყოთ.

შეხედე მოყვასს და ხელი შეუწყვე მის ხსნას. მიდი მასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიზრუნოთ მასზე, მისი ტანჯვა გავიზიაროთ და სოლიდარულნი ვიყოთ მის მიმართ, გავაგებინოთ, რომ მასზე უკეთესები არ ვართ. მას ისე უნდა შევხვდეთ, როგორც თანასწორს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვფიქრობთ, თითქოს ხსნა დავიმსახურეთ იმიტომ, რომ სხვებზე უკეთესები ვართ. ჩვენ ვერ დავიმსახურებთ ღვთისშვილობას. ეს წყალობაა. ჩვენ მოყვასზე უკეთესები არ ვართ. და ვისურვებდით, რომ მოყვასიც ეზიაროს იმავე წყალობას, რომელიც ჩვენ მივიღეთ. მაშასადამე, უნდა შევიგრძნოთ სხვათა გასაჭირი, სოლიდარობა გამოვხატოთ მათ მიმართ და გავაცნობიეროთ, რომ ყველანი თანასწორნი ვართ, რადგან ყველანი ცოდვილები ვართ და არავინ იმსახურებს ხსნას.

როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ საიქიოში მყოფ ადამიანებს? ლოცვებით შეგვიძლია ვუშუამდგომლოთ მათ. ზეციერი მამა

სამხ. მოციქულ კუბუბა სოკოსთან ერთად აქ იმყოფებოდნენ კიდევ რამოდენიმე აფრიკელი სამხ. მოციქულის თანაშემწე და მოციქულები

ღვთის ხალხის ერთობა იმის ნიშანია, რომ აქ არის ადგილი, სადაც ღმერთი მოქმედებს.

მოგვიწოდებს: „ილოცეთ საიქიოში მყოფი ადამიანებისათვის, დაანახეთ მათ თქვენი სიყვარული და ილოცეთ მათი გადარჩენისთვის. მარტო საკუთარი თავისთვის ნუკი ლოცულობთ, მარტო საკუთარ ხსნაზე ნუკი ზრუნავთ, არამედ მოყვასის ხსნაზეც იფიქრეთ. მიდით სხვებთანაც, აჩვენეთ გზა, რამეთუ იცოდნენ, რომ ეს ის ადგილია, სადაც უნდა მივიდნენ. ეს ის ადგილია, სადაც ღმერთი თავის ხალხთან მკვიდრობს. ეს ის ადგილია, სადაც ხსნის პოვნაა შესაძლებელი. ეს ის მიმართულებაა, საითაც უნდა წავიდეთ.

როგორ აღვმართოთ ნიშანი ცოცხლებისა და მკვდრებისათვის, რამეთუ იცოდნენ მათ, რომ ეს ის ადგილია? უპ. ყოვლისა, იმგვარად, რომ ღმერთის მიმართ მადლიერება გამოვხატოთ. მადლობას ვუხდით ღმერთს ჩვენი გადარჩენისათვის როგორც კარგ, ასევე ცუდ დღეებში. და როცა გვიჭირს და მძიმე პერიოდი გვიდგას, მაშინაც კი მადლიერები ვართ. მადლიერები ვართ ღვთიური სიყვარულისთვის, მონიჭებული წყალობისა და გადარჩენისთვის. ეს კი სხვებს იმის გაცნობიერებაში დაეხმარება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხსნა და წყალობა. ისინი დაინახავენ და იტყვიან: „ო, ეს რაღაც განსაკუთრებული რამ უნდა იყოს, ვინაიდან გაჭირვებაშიც კი მადლიერები არიან ისინი.“ მაშ, აღვმართოთ ნიშანი, რამეთუ დაინახონ და გააცნობიერონ მათ შემდეგი: „ო, იქ არის ხსნა. ისინი მადლიერები არიან კარგ და ცუდ დღეებშიც.“ მოდით, ვაჩვენოთ მათ, რომ ხსნა აქ არის. ადამიანები უნდა მიხვდნენ, რომ ჩვენ, ღვთის შვილები, აღარ ვართ იძულებულნი, გავყვეთ ეშმაკს. ღმერთმა სხვაგვარად მოქმედებისა და სხვაგვარი ქცევის უნარი მოგვცა. ჩვენი რეაქცია სხვებისას არ ჰგავს, არამედ ყველა სიტუაციაში ღვთის ნებისამებრ ვიქცევით.

ღვთისმსახურება
მუსიკის თანხლებით
მიმდინარეობდა

მოვიქცეთ ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფეებივით. ნუ დავუშვებთ, რომ ჩვენს ქცევაზე სხვებმა მოახდინონ გავლენა. და როცა უსამართლოდ გვექცევიან, ჩვენ მაინც სწორად მოვიქცეთ. შეურაცხყოფას შეურაცხყოფით არ ვუპასუხოთ და არც ბოროტებას მივაგოთ ბოროტებით. ჩვენ ცოდვის ბატონობის ქვეშ აღარ ვიმყოფებით. გვაქვს სიკეთის კეთების შესაძლებლობა. მოდით, ვაკეთოთ იგი!

იესომ თქვა: „... გიყვარდეთ ერთმანეთი. ჩემი მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ყველანი, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ“ (ნახე იოან. 13, 34-35). ის ასეც კი ლოცულობდა: „მამაო, დაე, ერთნი იყვნენ ისინი, რამეთუ ადამიანებმა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე.“ ერთმორწმუნე დისა და ძმის სიყვარული ეკლესიაში, ერთიანობა, ღვთის ხალხის ერთობა იმის ნიშანია, რომელიც მიუთითებს, რომ აქ არის ის ადგილი, სადაც ღმერთი მოქმედებს, სადაც ცოდვის დაძლევა შემიძლია; აქ არის ღმერთის სავანე ამქვეყნად. ეს არის ნიშანი. ძვირფასო ძმებო და დებო, ჩვენი მადლიერება ღვთისადმი კარგსა და ცუდ დღეებში, ჩვენი ქცევა, ბოროტისათვის ბოროტებით მიგებაზე უარის თქმა, ურთიერთსიყვარული და ღვთის ხალხის ერთობა ის ნიშნებია, რომლებიც ადამიანებს აჩვენებს: „მოდით, ხსნა აქ არის.“

მერე კი დაბრკოლებები, ქვები, გზიდან უნდა მოვაშოროთ. რამ შეიძლება დააბრკოლოს ადამიანები აქ, დედამიწაზე, და საიქიოში, რომ ჩვენი მოძღვრება მიიღონ? არის ერთი ქვა, რომელიც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. კერძოდ კი, როცა ვითხოვთ, რომ ისინიც ჩვენნაირები გახდნენ, და ჩვენს წესებს ვახვევთ მათ თავს: თუკი ხსნა სურთ, მაშინ ისინიც იმდენი ხნის ახალსამოციქულო ქრისტიანები უნდა იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ. თუ გადარჩენა სურთ, იმდენი უნდა იმუშაონ, რამდენიც ჩვენ ვიმუშავეთ. თუ გადარჩენა სურთ, ისევე უნდა დაიტანჯონ, როგორც ჩვენ დავიტანჯეთ. თუ გადარჩენა სურთ, ისეთები უნდა გახდნენ, როგორებიც მე და შენ ვართ. და ეს მათ გადარჩენას უკვე შეუძლებელს ხდის. მოვაშოროთ ეს ქვები გზიდან!

მოდით, ნუ მოვიქცევით უძღები შვილის უფროს ძმასავით, რომელსაც სულაც არ გაუხარდა, რომ მამამ მისი უმცროსი ძმა შეიწყალა. იესომ დაგმო ეს. და არც ვენახის იმ მუშაკებივით მოიქცეთ, რომლებიც გაბრაზდნენ, ვინაიდან ბოლოს დაქირავებულმა მუშებმა იმდენივე საზღაური მიიღეს, როგორც პირველად დაქირავებულებმა. წყალობას ყველა იმსახურებს. თავს ნუ მოახვევთ მათ საკუთარ წესებს. დაუშვით, რომ ღმერთმა მოყვასსაც გაუკეთოს სიკეთე და მოიშორეთ ეს დაბრკოლება.

შემდეგი დაბრკოლება: მაგ., როცა საიქიოში მყოფ სულებს ვადანაშაულებთ, ჩვენი საყვედურები და ბრალდებები დაბრკოლებებად ექცევათ მათ ხსნის გზაზე. როგორ შემოუერთდებიან ისინი ჩვენს რწმენას, თუ ასეთი გრძნობა ეუფლებათ: „ჩვენი მისვლა არ უხარიათ, ისინი გვადანაშაულებენ.“ მათ უნდა იცოდნენ, რომ მივუტევებთ. აღარ უნდა იყოს საყვედურები და ბრალდებები. ისევე უნდა მივუტევოთ მათ, როგორც ჩვენ მოგვიტევა ღმერთმა. ეს არის ის დაბრკოლება, ქვა, რომელიც გზიდან უნდა მოვაშოროთ.

მაგრამ არსებობს სხვა ქვებიც, სხვა დაბრკოლებები, რომელთა მოშორებაც არ შეგვიძლია. ისეთი რამეები, რაც ადამიანს გადარჩენას ურთულებს, და რისი მოშორებაც არ შეუძლია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ დაბრკოლებების დაძლევაში დავეხმაროთ მათ. დიდ დაბრკოლებას, დიდ ქვას, ჩვენი არასრულყოფილება წარმოადგენს. „მოდით! ღვთის საქმე აქ არის“, ვეპატიჟებით მათ; ისინიც მიხედ-მოიხედავენ და დაინახავენ, რომ „ესენი სრულყოფილების გარდა ყველაფერი არიან. და ესენი უნდა იყვნენ წმიდები?! შეხედეთ მათ. შეხედეთ მოციქულებს, სასულიერო პირებს, წმიდების გარდა ყველაფერი არიან. იმდენი კონფლიქტია თემებში.“

ეს არის უზარმაზარი ქვა, რომელიც სულებს ხელს უშლის იმაში, რომ შემოგვიერთდნენ. და ეს არის დაბრკოლება, რომლის მოშორებაც არ ძალგვიძს, ვინაიდან ყველა ჩვენთაგანი - და პირველი მე ვარ, ვისაც ეს ეხება - არის და დარჩება ბოლომდე ცოდვილი. რაც არ უნდა გავაკეთოთ, თემებში კომფლიქტები მაინც იქნება. მაინც შევცოდავთ. ჩვენ ყველა ვუშვებთ შეცდომებს. ამ ქვას ვერ მოვაშორებთ, მაგრამ ის მაინც შეგვიძლია, რომ სულებს ამ დაბრკოლების გადალახვაში დავეხმაროთ; მაგ., ვაჩვენოთ, თუ როგორ ვუმკლავდებით და ვაგვარებთ კონფლიქტებს. ჩვენ არასრულყოფილები ვართ, მაგრამ სულებმა უნდა დაინახონ, რომ გულწრფელები ვართ. და არასოდეს უნდა შევწყვიტოთ საკუთარ თავზე მუშაობა და გამოსწორება. მოდით, გამოვავლინოთ თავმდაბლობა და სინანული და წყალობა ვითხოვოთ. ასე შევძლებთ ამ სულების დახმარებას დაბრკოლებების გადალახვაში, რომლებიც ჩვენი არასრულყოფილების გამო ჩნდება. შეგვიძლია ვუთხრათ მათ: „დიახ, კონფლიქტები არის, მაგრამ შეხედეთ, როგორ ვაგვარებთ მათ. ცხადია, ჩვენც ჩავდივართ ცოდვას, მაგრამ გულწრფელები ვართ, თავმდაბლები და მონანიების არ გვეშინია და მიტევებას ვითხოვთ. დიახ, შეცდომებსაც ვუშვებთ, მაგრამ ვცდილობთ, გამოვსწორდეთ.“ ასე და ამგვარად შევძლებთ, დავეხმაროთ მათ ამ დაბრკოლების გადალახვაში.

კიდევ ერთი დაბრკოლება მათი პირადი არასრულყოფილებაა. ისინიც ჩვენსავით სუსტი ადამიანები არიან და ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ იესო ქრისტესნაირები უნდა გახდნენ. მერე კი ხვდებიან, რომ ამას ვერასოდეს შეძლებენ: „ეს რთულია. ამას ვერ შევძლებ.“ ჩვენ შევძლებთ მათ დახმარებას, თუკი გავაგებინებთ, რომ ღმერთი სიყვარულია. „მიენდეთ მას. ის დაგეხმარებათ. ის მოგცემთ

ამ ღვთისმსახურებაზე დამსახურებულ პენსიაში გავიდა სამხ. მოციქულის თანაშემწე არნოლდ მჰანგო

თავის სიტყვას, მოგანიჭებთ წყალობას და წმიდა ზიარებას. თქვენ ღვთის შვილებს შეუერთდებით. და ღმერთის შემწეობითა და წყალობით, ერთმორწმუნე ძმებისა და დების დახმარებით, თქვენი არასრულყოფილების დაძლევას შეძლებთ და თავს გაართმევთ ამას.“ სულიწმიდის ნუგეშის მეშვეობით კი ამ დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარებით მათ.

არის კიდევ მესამე დაბრკოლება, ბოლო, რომლის მოშორებაც არ შეგვიძლია. იესომ თქვა: „ვისაც სურს მე მომდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი, და გამომყვეს მე“ (მათ. 16, 24). ეს ღვთიური წესია. თუკი გავყვებით ქრისტეს, სირთულეებთან და მტრების წინააღმდეგობასთან გამკლავება მოგვიწევს. მას რომ გავყვეთ, ბევრ რამეზე უნდა ვთქვათ უარი. ეს კი საკმაოდ რთულია. და ეს დაბრკოლებას წარმოადგენს, მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვაში სულებს იმის ჩვენებით დავეხმარებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და დიდია მამაზეციერის დიდება. რისი გადატანაც არ უნდა მოგვიწიოს აქ, დედამიწაზე, ვიცით, რომ ერთგულება დაფასდება, ვინაიდან ზეციური დიდება იმდენად დიდი იქნება, რომ აღარც კი გავიხსენებთ ამქვეყნიურ ტანჯვას. არ დანებდეთ, გააგრძელეთ, ბრძოლას აქვს აზრი. თანაზიარება ზეცაში გაცილებით დიდია, ვიდრე ყველაფერი, რასაც დღეს განიცდით.

პირველმოციქული შნაიდერი სასულიერო პირებსაც პირდაპირ მიმართავს

მაშ, დავეხმაროთ ამ სულებს იმ დაბრკოლებების დაძლევაში, რომელთა მოშორებაც შეუძლებელია. და რისი მოშორებაც შეგვიძლია ამ გზიდან, მოდით, მოვაშოროთ.

მაშასადამე, ეს იყო ის დაბრკოლებები, რომლებიც საიქიოში მყოფ სულებს ერთ ადგილას აჩერებს. მაგრამ ისიც ვიცით, რომ გვყავს ძმები და დები, რომლებმაც დატოვეს ღვთის ქალაქი. მიზეზი ბევრია. ზოგიერთი შეცდა და წავიდა. ეს სიტყვა მათაც ეხება. ჩვენი სურვილია, რომ ისინიც ჩვენთან ერთად გადარჩნენ. ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ მათი ხსნისათვის. მათ უჭირთ დაბრუნება. მაშ, მოვაშოროთ დაბრკოლებები. ძმებო და დებო, არანაირი ბრალდება, არანაირი საყვედურები, არამედ მიტევება, სიყვარული და მადლიერება, როცა უკან დაბრუნდებიან. ასე დავანახებთ მათ, რომ ეს ის ადგილია, სადაც სულიწმიდა მოქმედებს, ხოლო ღმერთი თავის ხალხთან მკვიდრობს. აქ სხვაგვარად იქცევიან. მოდით, გავაგებინოთ მათ, რომ გვიხარია მათი მოსვლა, რომ გვიყვარს ისინი. ჩვენ გვინდა, რომ ისინიც ჩვენთან ერთად გადარჩნენ. მაშ, მოვაშოროთ ქვები გზიდან: არავითარი ბრალდებები ან საყვედურები. მოდით, უბრალოდ ჩუმად ვიყოთ, მივუტევოთ და ვუთხრათ, რომ გვიხარია მათი ჩვენს შორის ყოფნა.

გვახსოვდეს უძღები შვილის ისტორია.

ძირითადი აზრები

ჩვენი სურვილი მოყვასის ხსნაა. ჩვენი მადლიერება, ქცევა და ურთიერთსიყვარული იმის დამადასტურებელია, რომ ეკლესიაში ქრისტე მოქმედებს. ჩვენ თანავუგრძნობთ სხვებს და ვზრუნავთ მათზე.

დაკარგული ცხვრის შესახებ

ლუკ. 15, 1-7-ის მიხედვით

როცა იესო ლაპარაკობს, ყველა უსმენს - კაცები, ქალები, ბავშვები. ერთხელ იესომ დაკარგული ცხვრის შესახებ ისტორია უამბო მსმენელებს.

„თუ მწყემსს ასი ცხვარი ჰყავს და ერთი მათგანი დაიკარგება - გაიქცევა და გზა აებნევა - რას იზამს მაშინ მწყემსი? განა არ დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტ ცხვარს და იმ ერთს, დაკარგულს, არ დაუწყებს ძებნას? მოძებნის ყველა ადგილას, სადაც კი შეიძლებოდა რომ წასულიყო. ყურს დაუგდებს,

იქნებ სადმე რამე გაიგონოს. და ასე იმდენ ხანს მოიქცევა, ვიდრე არ იპოვნის. როცა ცხვარს იპოვნის, გაიხარებს. მწყემსი მას ხელში აიყვანს და მხრებზე შეისვამს და ისე წაიყვანს სახლში. გასძახებს ყველა მეგობარსა და მეზობელს: ‘თქვენც იხარეთ ჩემთან ერთად, დაკარგული ცხვარი ვიპოვეო.’

სწორედ ასეთი იქნება სიხარული ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელიც მოინანიებს. ღმერთს ის უფრო გაახარებს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტი მართალი, რომლებსაც მონანიება არ სჭირდებათ.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 08. 2024 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ნაელთან დაკარში (სენეგალი)

მე მქვია ნაელი და ვარ შვიდი წლის. მე ყველაზე უმცროსი ვარ ოჯახში. მყავს ორი და, ტრეისი და გერტი, და ერთი ძმა, იოვენი. ისინი არიან 14, 12 და 17 წლის.

ჩემი ოჯახი დაკარში ცხოვრობს, სენეგალის დედაქალაქში. სენეგალი აფრიკის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ჩვენ ფრანგულად ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩემი ძმა და დები ადგილობრივ ენაზეც საუბრობენ, ვოლოფზე.

ნოემბრიდან ივნისამდე სენეგალში მშრალი სეზონია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში თითქმის არ წვიმს. სამაგიეროდ ივლისიდან ოქტომბრამდე წვიმს ხშირად. იმის გამო, რომ დაკარი ზღვასთან მდებარეობს და ზამთარშიც არ ცივა, მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ცურვა - ან სანაპიროზე სეირნობა ან ქვიშაში ცეკვა. აქაურებს უყვართ მუსიკა და ცეკვა.

მამაჩემი აბდონ პრივატი მწყემსია და ლიბერტე 5-ის თემის წინამძღვარი. დედაჩემი ჯულია ნანინა გუნდში მღერის. ის მღერის ალტოს, მაგრამ სახლში ბასსაც მღერის, ვინაიდან ძალიან ბოხი ხმა აქვს. როცა ღვთისმსახურებაზე მივდივართ ან გუნდთან ერთად გამოსვლა გვაქვს, ყოველთვის მოხდენილად ვიცვამთ და ყველას ერთი და იგივე ქსოვილისგან დამზადებული კაბები გვაცვია.

პირველი კლასის მოსწავლე ვარ. კარგი ნიშნებით დავამთავრე სკოლამდელი და დაწყებითი კლასი. ოთხი წლიდან ვმღერი. დედაჩემისა და ჩემი და-ძმის მსგავსად მეც გუნდში ვარ. მართალია, იქ ყველაზე უმცროსი ვარ, მაგრამ მე ეს მომწონს.

თუ არც სკოლაში ვარ და არც ეკლესიაში, მაშინ თავსატეხებით ვერთობი ან სკუტერს ვატარებ. დიდ დროს ვატარებ ტელეფონშიც - მაგ., ჯუნიორთან ერთად, ის ჩვენი მღვდელი და გუნდის ხელმძღვანელია. ის ტელეფონში ჩემთან ერთად ლოცულობს და მამხნევებს, რომ სკოლაში კარგად ვისწავლო. კარგია, რომ ჩვენთან უფროსები უმცროსებს ეხმარებიან.

ჩემი საყვარელი საჭმელია ფუმბვა, ეს არის ბოსტნეული, რომელიც რაღაცით ისპანახს წააგავს. მას მიწისთხილის კარაქთან და ხორცთან ერთად მივირთმევთ. გარდა ამისა, მიყვარს ქათმის ხორცი ხახვისა და ლიმონის სოუსით - და, რა თქმა უნდა, ბურგერი და პიცა.

ჩვენს თემში ახალგაზრდებსა და ბავშვებს მუსიკის გაკვეთილებს სთავაზობენ. მე ვუკრავ ფლეიტაზე და ვიოლინოზე დაკვრასაც ვსწავლობ. მინდა, რომ ოდესმე ისევე კარგად ვუკრავდე, როგორც ჩემი დები უკრავენ.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, 08. 2024 წლის გამოცემა; ფოტოები: ბორადი: privat; Luis/Jirawat/Curioso.Photography/Fanfo/stock.adobe: ილუსტრაციები: freepik.com

ფოტო: evening_tao - stock.adobe.com

ეკლესიის ერთიანობა და მრავალმფეროვნება

ფოტო: Luluraschi - stock.adobe.com

თემები, რომლებიც მიგრაციის მეშვეობით იზრდება, კულტურები, რომლებიც ერთმანეთს ხვდება, ინფორმაციები, რომლებიც ელვის სისწრაფით ვრცელდება მთელ მსოფლიოში: ეკლესიისათვის ეს არა მხოლოდ კურთხევაა, არამედ გამოწვევაც არის. თუმცა ამაზე ერთი ზოგადი და ყოველთვის სწორი პასუხი არსებობს.

წინამდებარე სტატია სამხ. მოციქულთა საერთაშორისო ყრილობაზე იქნა წარდგენილი 2023 წლის შემოდგომაზე და 2024 წლის „ძირითადი აზრების“ სპეციალურ გამოშვებაში გამოქვეყნდა. მასში პირველმოციქულმა საკუთარ სასულიერო მსახურებაზე გააკეთა კომენტარი, რაც ეკლესიის ერთიანობის დაცვასა და ხელშეწყობაში მდგომარეობს, ასევე რწმენაზე მოწმობის ერთიან გავრცელებაში (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო, თავი 7. 6. 6). ამას მჭიდროდ უკავშირდება ეკლესიის, სახარებისა და მისი უწყების საყოველთაობის თემა. „ეკლესიის საყოველთაობის“ თემასთან დაკავშირებული სტატია უკვე გამოქვეყნდა „ძირითადი აზრების“ სპეც. გამოშვებაში 2017 წლის აპრილში და შესაბამისად community-ის 2019 წლის 1. ნომერში. ქვემოთ ამ თემაზე მსჯელობის გაგრძელება და გაღრმავება უნდა მოხდეს.

მიგრაციული მოძრაობები - კურთხევა და გამოწვევა მთელი ეკლესიისათვის

ახალსამოციქულო ეკლესია მისი ისტორიის დასაწყისში ემიგრაციის ხარჯზე იზრდებოდა. პირველ რიგში, გერმანულენოვანი ევროპის მორწმუნეებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ახალსამოციქულო ეკლესიამ ამერიკაში, ავსტრალიასა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში ფეხის მოკიდება შეძლო. ემიგრანტები თავიდან თანამემამულეებს ეპატიჟებოდნენ. ღვთისმსახურებები გერმანულად ტარდებოდა და თემებიც გერმანულენოვანი კულტურის გავლენას განიცდიდნენ. იმას, რომ აზროვნება შეცვლილიყო, დიდი დრო დასჭირდა. მაგრამ ეკლესია თანდათან ეგუებოდა ადგილობრივ პირობებს და, ამდენად, სრულიად განსხვავებული კულტურის მორწმუნეების ინტეგრაციისათვის გზას იკვალავდა.

უკვე ათწლეულებია, რაც ჩვენი ეკლესია ძლიერ მიგრაციულ მოძრაობებს განიცდის აფრიკიდან. აფრიკელ მორწმუნეთა მიგრაცია ნამდვილი კურთხევაა ჩვენი ეკლესიისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში. მათ რწმენას, ენერგიას და ენთუზიაზმს ახალი დინამიკა შეაქვს თემებში, რაც სასწრაფოდ სჭირდებათ მათ. ეს მოძრაობა ეკლესიისათვის გამოწვევაც არის. ახალჩამოსულებს საკუთარი ახალსამოციქულო კულტურა აქვთ, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ადგილობრივი კულტურისგან. განა შეიძლება „გააფრიკელება“ მოვთხოვოთ თემს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი წევრების უმეტესობა აფრიკული წარმოშობისაა? ანდა ახალჩამოსულებს ადგილობრივ კულტურასთან ასიმილაცია აიძულონ? ეს პრობლემატიკა ყოველთვის არსებობდა. დღევანდელ საზოგადოებაში იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მოდიან რა კონფრონტაციაში პროგრესთან, რომელსაც ვერ უმკლავდებიან, და აწუხებთ რა მომავალზე ფიქრი, ადამიანები ზოგჯერ საკუთარ თავში იკეტებიან და ტრადიციულ ღირებულებებს ეჯაჭვებიან. მსგავს ქცევას შეიძლება ჩვენს თემშიც ჰქონდეს ადგილი, როგორც ადგილობრივებთან, ასევე „ახალჩამოსულებთან“. როგორ უნდა ვუპასუხოთ მსგავს გამოწვევას?

მორწმუნეთა მრავალფეროვნება - კურთხევა და გამოწვევა

ჩვენი თემების უმრავლესობა სხვადასხვა ასაკისა და განსხვავებული ცხოვრებისეული პირობების მქონე მორწმუნეებისგან შედგება, რომლებსაც ქრისტეს რწმენა და მოციქულებთან კავშირი აერთიანებთ. ჩვენი ეკლესიის სიმდიდრეს ეს მრავალფეროვნება წარმოადგენს. სულიწმიდის შემწეობით მოციქულები მუდამ იმის მცდელობაში არიან, რომ მორწმუნეთა ნებისმიერი კატეგორიის მოთხოვნილებებისა და მოლოდინების გამართლება შეძლონ. ყველაფერი იდეალური არ არის, მაგრამ ვთვლი, რომ ეკლესიამ საკმაოდ კარგად გაართვა ამ ამოცანას თავი.

საზოგადოება დღეს ინდივიდს უფრო ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე კოლექტივს. ადამიანები ხაზს უსვამენ მათ განსაკუთრებულობას, წინა პლანზე წამოსწევენ მათ განსხვავებულობას და იმედოვნებენ, რომ მათი სპეციფიური მოლოდინები გამართლდება. ისინი უფრო მომთხოვნი და ნაკლებად ტოლერანტულები ხდებიან. ეს ტენდენცია ეკლესიაშიც შეიმჩნევა.

ეკლესიის წევრთა ერთ ნაწილს უნდა, რომ ეკლესია უფრო მეტად ჩაერთოს საზოგადოებაში, რათა მთავრობებში არსებული ნაკლოვანებების კომპენსირება მოხდეს. სხვები კი ფიქრობენ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა ეკლესიის საქმე არ არის. მორწმუნეთა ერთ ნაწილს ზუსტად უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რათა კურთხევა მიიღოს. ზოგიერთი მორწმუნე კი, პირიქით, თავისუფლებას ითხოვს და უარს ამბობს ეკლესიის ნებისმიერ ჩარევაზე მის პირად ცხოვრებაში. ზოგს უნდა, რომ ეკლესიაში არაფერი შეიცვალოს, ზოგს კი ყველაფრის შეცვალა სურს. ერთ ნაწილს ემოციები სჭირდება, მეორეს კი - დაფიქრება. ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ფოტო: Luluraschi - stock.adobe.com

ინფორმაციის გლობალიზაცია - კურთხევა და გამოწვევა

ინტერნეტის წყალობით ინფორმაციები მარტივად და სწრაფად ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ასეთმა პროგრესმა მოციქულებისა და ეკლესიის მუშაობა ზოგადად ძალიან გაამარტივა. თუმცა ამას თან მოჰყვა გართულებების მთელი რიგი. ის, რაც ერთ ადგილას ან მორწმუნეთა ერთ ჯგუფში ითქმება, სავარაუდოდ ძალიან მოკლე დროში მთელ მსოფლიოში ვრცელდება, მეტ-ნაკლებად სიმართლის შესაფერისად და კონტექსტიდან ამოგლეჯილი. ამგვარი კომუნიკაციები არანაირად არ შეესაბამება კომპლექსური თემების განხილვას, მოითხოვს დისტანცირებას და საფუძვლიან დაფიქრებას.

უნივერსალური სახარება - ჩვენი პასუხი გამოწვევებზე

ამ გამოწვევების წინაშე დღევანდელი მოციქულები იგივე პოზიციას იკავებენ, რაც პავლე მოციქულს ჰქონდა. „რადგან იუდეველები მოითხოვენ სასწაულებს და ბერძნები სიბრძნეს ეძებენ. ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს, ბერძენთათვის - უგუნურებას, ხოლო მოწოდებულთათვის - იუდეველებისთვისაც და ბერძნებისთვისაც - ვქადაგებთ ქრისტეს - ღვთის ძალას და ღვთის სიბრძნეს“ (1. კორ. 1. 22-24). ჩვენს ქადაგებაში კონცენტრირებას უნივერსალურ სახარებაზე ვახდენთ, იმაზე, რაც ყველას ეხება. სახარების საყოველთაობა იმაში მდგომარეობს, რასაც იესო ქრისტე ღვთისგან გვასწავლის ჩვენს შესახებ, ღმერთთან და ადამიანებთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ და ღვთის მიერ შემოთავაზებული გამოსყიდვის შესახებ. ჩვენ ღმერთის სრულყოფილებასა და სიყვარულს ვიუწყებით. ვიუწყებით, რომ მას ჩვენთვის საუკუნო სიცოცხლის, სრული და მუდმივი ბედნიერების ბოძება სურს. ვიცით, რომ ღვთიური სიყვარული ადამიანის ყველა შესაძლო სურვილის დაკმაყოფილებას არ ემსახურება, არამედ იმის მიღების საშუალებას იძლევა, რაც მის ხსნას წაადგება.

სახარების საყოველთაო უწყება

გავიხსენოთ, როგორ იუწყებოდა პავლე ქადაგებას: „ვინაიდან ყველასაგან თავისუფალი ყველას დავემონე, რათა უფრო მეტი შემეძინა. იუდეველთათვის გავხდი როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა. რჯულის ქვეშ მყოფთათვის - როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ რჯულის ქვეშ უმყოფელი, რათა რჯულის ქვეშ მყოფნი შემეძინა. ურჯულოთათვის - როგორც ურჯულო, თუმცა არ ვარ ღმერთის ურჯულო, არამედ ქრისტეს რჯულიერი, რათა ურჯულოები შემეძინა. უძლურთათვის გავხდი უძლურივით, რათა უძლურნი შემეძინა. ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მეხსნა როგორმე“ (1. კორ. 9, 19-22).

იუდაური რწმენით აღზრდილი პავლე მოციქული მოსეს რჯულს წმიდად, კეთილად და მართლად თვლიდა (რომ. 7, 123). ამის მიუხედავად, მას არ სურდა, რომ არაიუდეველთათვის ძალით მოეხვია იგი თავს. უმნიშვნელოვანესი მისთვის ის იყო, რომ მათში იესო ქრისტესადმი რწმენა გაეღვიძებინა. დღეს ქრისტიანთა უმრავლესობა აღიარებს ათი მცნების ქმედითობას. თუმცა ის, თუ როგორ განმარტავენ მას, მათ კულტურულ გარემოსა და პირად მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მოციქულების ამოცანა მორწმუნეთა სხვადასხვა კულტურებსა და მისწრაფებებს შორის შუამავლობა არ წარმოადგენს. ის უფრო ყველა ადამიანისათვის იმის უწყებაში მდგომარეობს, რომ

ღმერთს ისეთი უყვარს იგი, როგორიც არის, და მისი გადარჩენა სურს. ასევე იმის ჩვენებაში, რომ მას თავისი ადგილი აქვს ეკლესიაში, პატივს სცემენ, ესმით მისი და უყვართ იგი.

პავლე უძლურებთან უძლურივით იყო. და ვინ არის უძლური? როცა საქმე მცნებების დაცვას ეხება, ყველას უნდა, რომ სხვა ჩათვალოს უძლურად.

ავიღოთ მაგალითად მეოთხე მცნება. აფრიკელებისათვის მიუღებელია ის, თუ როგორ ექცევიან ევროპელები ხანდაზმულებს. მშობლების მოხუცებულთა სახლში ჩაბარება მათთვის მეოთხე მცნების დარღვევაა. დასავლეთი კი, პირიქით, აღშფოთებულია იმით, რომ ჯერ ისევ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც მშობლები, ეყრდნობიან რა ამ მცნებას, შვილებს მათ მიერ რჩეულზე დაქორწინებას ახვევენ თავს.

მსოფლიოს ერთ ნაწილში ჰომოსექსუალიზმს ისე უყურებენ, როგორც განსაკუთრებით მძიმე ცოდვას. დასავლურ სამყაროს მის მიმართ დანაშაულებრივი სისუსტის გამოვლინებას საყვედურობენ, ვინაიდან შემწყნარებლობას იჩენს იგი მისადმი. დასავლეთში ბევრი ადამიანი აღშფოთებულია ზოგიერთ ქვეყანაში არსებული კორუფციის გამო. მათ არ ესმით, თუ რატომ მიმართავენ ქრისტიანები რაღაცის მისაღწევად ისეთ მეთოდებს, რომლებიც მორალურად მიუღებლად ითვლება. ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. თვითეული ჩვენთაგანი სხვის თვალში უძლურია. რაც შეეხება სიმართლეს, ყველანი უძლურნი ვართ ღმერთის წინაშე.

უძლურებთან უძლურად ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ მივესალმოთ ყველაფერს, რასაც ისინი აკეთებენ და ფიქრობენ. უძლურებთან მიმართებაში, უპ. ყოვლისა, საკუთარი სისუსტეები უნდა გავიხსენოთ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ მათზე უკეთესად ჩავთალოთ თავი. ვიცით, რომ ღმერთს უძლურები ჩვენსავით უყვარს. ღმერთი არ გვსჯის ჩვენი სისუსტეების გამო, არამედ სულგრძელია ჩვენს მიმართ. მოდით, ისე მოვექცეთ უძლურებს, როგორც ღმერთი გვექცევა ჩვენ.

ჩვენს კომპეტენციაში არ შედის სხვისი რწმენისა და სიყვარულის შეფასება მისი საქციელის მიხედვით. ჩვენი აზრი ჩვენს თანამოძმეებზე არანაირ გავლენას არ ახდენს იმ სიყვარულზე, რომელსაც ღმერთი მათ მიმართ იჩენს, ჩვენთვის კი დამაზიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს ეს. ღმერთი იმის მიხედვით განგვსჯის, თუ როგორ ვექცეოდით მოყვასს. პირველ რიგში, კი „უმცირესს“ მის და-ძმათაგან (მათ. 25, 40), რომლებიც ჩვენს თვალში უძლურები არიან. . .

იმისათვის, რომ მათი ქადაგება ეფექტური იყოს, მოციქულებმა ის უნდა ასწავლონ, რაც იესომ უთხრა (მათ. 28, 20). უფალი აცხადებდა, რომ სიყვარულის მცნება უპირატესია რჯულის ყველა დებულებასთან შედარებით (მათ. 22, 3-40). პავლე მოციქულმა ეს ზუსტად გაიგო: „არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს. რადგან: ‘არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუმოწმე, არ ინდომო’ და სხვა რამ მცნებაც შედის ამ სიტყვაში: ‘გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.’ სიყვარული არ უბოროტებს მოყვასს. ამიტომ სიყვარული რჯულის აღსრულებაა“ (რომ. 13, 8-10).

დაუღალავად ვიუწყოთ იესო ქრისტეს სახარება, ის ჭეშმარიტად უნივერსალურია!

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

კანადაში ახალგაზრდები შუქურას ანთებენ

მეგობრების პოვნა ადვილი იყო. აგვისტოს დასაწყისში დაახ. 1000 ახალგაზრდა შეიკრიბა მთელი ამერიკიდან, ავსტრალიიდან და სამხრეთ გერმანიიდან, რამეთუ ერთად „გაენათებინათ ნათელი“ და ნათლის სხივები ფართოდ გაევრცელებინათ.

ღონისძიების მონაწილეებმა ბოლო დღეს ახალგაზრდული დღის დევიზის ინსცენირება მოაწყვეს

„არ ვიცი, შეამჩნიე თუ არა, მაგრამ ზუსტად ერთნაირ მაისურებს ვატარებთ.“ „ვაა, ჩვენ აუცილებლად უნდა დავმეგობრდეთ!“ თვალს უკრავს ერთი ახალგაზრდა მეორეს და 2024 წლის პანამერიკული ახალგაზრდული დღის ინსტაგრამ-აკაუნტზე გამოქვეყნებულ სურათს უჩვენებს, სადაც ორი ახალგაზრდა შაბათ-კვირას ერთმანეთს ხვდება სენტ-კატარინსში, ბროკის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და გრძნობს, რომ რწმენა აკავშირებს მათ ერთმანეთთან, ასევე ორივე სიხარულს განცდის იმის გამო, რომ ამ ივენთის ნაწილი არიან.

2-დან 5 აგვისტომდე ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თითქმის 1000-მა ახალგაზრდამ ავსტრალიიდან, ბოლივიიდან, ჩილედან, პარაგვაიდან, ურუგვაიდან, ბრაზილიიდან, არგენტინიდან, აშშ-დან, გერმანიიდან და კანადიდან. გახსნის ცერემონიალზე სწორედ ამ თანმიმდევრობით იქნა ნაჩვენები სახელმწიფო დროშები დრონების შოუს მეშვეობით. აღფრთოვანებული აპლოდისმენტების ქვეშ მოხდა დრონების მიერ ახალსამოციქულო ეკლესიის ემბლემისა და ახალგაზრდული დღის დევიზის SHINE-ის (ნათელი) გამოსახვაც.

ურთიერთგაცნობა სინათლის სიჩქარით

დევიზმა, რომელიც მათ. 5, 16-ს („ანათებდეს თქვენი ნათელი ...“) ეყრდნობა, პირველივე დღიდან შეიძინა სიცოცხლე. ღონისძიების გახსნის დროს ახალგაზრდებმა ერთად ააგეს კოშკები, რისთვისაც გამოიყენეს მუყაო, ბუშტები და განათებები, რომლებიც ფართოდ ანათებდნენ შემოღამებულ ცაზე.

ენები არ ქმნიდა დაბრკოლებებს. საჭიროების შემთხვევაში, ხელებითა და ფეხებითაც აგებინებდნენ ერთმანეთს. არ უჭირდათ ურთერთგაცნობა, იქნებოდა ეს ფეხბურთის თუ კალათბურთის თამაშის დროს, თუ მაგიდისა და კომპიუტერული თამაშებისას. და თუ ვინმე უნივერსიტეტის ფართო ტერიტორიაზე დაიბნეოდა, მასთან გაბრწყინებული სახით მიდიოდა უამრავი დამხმარეთაგან ერთ-ერთი SHINE-ის ქუდით მანამდე, ვიდრე ეს უკანასკნელი მიხვდებოდა, რომ პრობლემა შეექმნა.

მრავალფეროვან პროგრამაში დაინტერესებულ პირთათვის გათვალისწინებული იყო დრო პირველმოციქულთან სასაუბროდ და გარდაცვლილთა მოსაგონებლად.

ფოტო: ვაიდენ ჯარლოსი, კანადის ახსე

ვისწავლოთ ერთად ნათება

ერთ-ერთ სემინარზე ახალგაზრდებმა იმუშავეს იმაზე, თუ როგორ გააბრწყინონ თავიანთი ნათელი თემში პიროვნების ტესტის დახმარებით. საერთოდ ნათელის გამოსასხივებლად ჯანსაღი მენტალობაა საჭირო. სწორედ ამაზე იყო საუბარი მოხსენებაში „Loving Yourself Enough to Never Give Up“ (გიყვარდეს საკუთარი თავი, რამეთუ არასდროს დანებდე). მონაწილეებს მოუწოდეს, გულზე ხელი დაედოთ და ეთქვათ: „I am worth it – I am enough“ (მე ამის ღირსი ვარ - მე ამას ვეყოფი): „ამ თავისუფალ ატმოსფეროში და ყველა თანამონაწილის ღრმა ურთიერთკავშირში ღვთიური სიყვარული იგრძნობოდა. ეს ყველაფერი ნამდვილი სასულიერო ზრუნვით იყო აღვსილი“, გვითხრა ერთ-ერთმა მონაწილემ.

იმედის ნაპერწკალზე მეტი

დღე იწყებოდა იოგით, დილის პარაკლისით, ძილის მოყვარულთათვის კი ტიპიური კანადური საუზმით: „როცა მთელი მსოფლიოდან მოსულ ადამიანებთან ერთად ხარ და დღის დაწყება უფალთან ერთად შეგიძლია, ხედავ, რომ სიყვარული ყველასთვის ერთი და იგივეა“, თქვა ერთმა აღფრთოვანებულმა ახალგაზრდამ. ბროკის უნივერსიტეტში პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერიც მოვიდა. მან ახალგაზრდებთან სასაუბრო დროც გამონახა. ჰკითხეს, თუ რა ნათელი მომენტები ჰქონია მას ცხოვრებაში. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ პირველმოციქულმა თქვა, რომ დიდ და შთამბეჭდავ მომენტებს კი არ მოუხდენია მასზე დიდი გავლენა, არამედ იმ და-ძმებთან შეხვედრებს, რომლებსაც მძიმე ტვირთის ტარება უწევთ, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ეს მას ყოველთვის იმის მოტივაციას აძლევდა, რომ მასზე დაკისრებული დავალებები შეესრულებინა.

შაბათ საღამოს პროგრამაში იყო ე. წ. SHINE-Experience (ნათლის განცდა). ახალგაზრდული დღის დაახ. 1000 მონაწილე ყვითელი სასკოლო ავტობუსებით კონფესიის ცენტრალურ ეკლესიაში მიიყვანეს. სამყაროს შექმნასთან დაკავშირებული ვიდეორგოლის მეშვეობით ახალგაზრდები სათანადოდ განეწყვნენ. ჩაბნელებულ დარბაზში უცბად განათებული დაფდაფები გამოჩნდა. უკრავდა ბენდი, განათებული ბუშტები კი ხალხის მასის თავზე ტრიალებდა, ბრენდონ ლიკს, 2020 წლის „ამერიკის ნიჭიერის“ გამარჯვებულს, მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ. მან ქრისტიანული პოეტური სლემი შეასრულა. ახალგაზრდებიც გააქტიურდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჩამოწოლილი საღამო მშვიდი და დამაფიქრებელი იყო, ახალგაზრდებს ანთებული სანთლები ეჭირათ ხელში და სანთლების შუქზე და მუსიკის ფონზე გარდაცვლილებს იგონებდნენ.

ბრწყინვალე მისაბაძი მაგალითი

კვირა საღამოს ახალგაზრდები კვლავ შეიკრიბნენ ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე. სცენაზე მათ ბენდთან ერთად დიდი გუნდი შექმნეს და სამხრეთ ამერიკელ და გერმანელ სტუმრებთან ერთად „Brillará“ (ესპანურად: გაბრწყინდება) და „ღვთიური სიყვარული, ღვთიური მადლი“ შეასრულეს. ღვთისმსახურებაზე პირველმოციქულმა ახსნა, თუ როგორ შეიძლება გავხდეთ იესოსნაირი, რათა ღვთიური სიყვარული გამოვავლინოთ. ამის შემდეგ ახალგაზრდები ნიაგარას ჩანჩქერზე წავიდნენ, სადაც მათ გრანდიოზული ლაითშოუ ელოდებოდათ ფეიერვერკებით. მართალია, ეს შოუ სპეციალურად ახალგაზრდული დღისათვის არ იყო განკუთვნილი, მაგრამ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვინაიდან ირგვლივ ყველგან მოჩანდნენ ახალგაზრდები ერთნაირი ბრჭყვიალა სამაჯურებითა და ერთნაირი თეთრი მაისურებით SHINE-ის ლოგოთი.

პროგრამა

05.01.2025 წ. სენტ-გალენი (შვეიცარია)
12.01.2025 წ. შპრეევალდი (შვეიცარია)
18.01.2025 წ. მოისაია (ჩადი)
19.01.2025 წ. ჯამენა (ჩადი)
31.01.2025 წ. კამპალა (უგანდა)
02.02.2025 წ. ნაირობი (კენია)
09.02.2025 წ. ჰაიდენჰაიმი (გერმანია)
14.02.2025 წ. კუკუტა (კოლუმბია)
16.02.2025 წ. ბოგოტა (კოლუმბია)
02.03.2025 წ. დასადგენია (ნიგერია)
09.03.2025 წ. დასადგენია (გერმანია)
23.03.2025 წ. უშუაია (არგენტინა)
26.03.2025 წ. სანტიაგო დე ჩილე (ჩილე)
30.03.2025 წ. მონტევიდეო (ურუგვაი)

New Apostolic Church
International